



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი ზაფთი. ბაგოდის ჟოველ კვირადღეს.

№ 4

იანვარი, 21 1896 წ.

№ 4

შინაარსი: ცხოვრება და მწერლობა, ფხასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—ჩვენი სახიობა.—* ლექსი —დუტუ მებრელისა.—სოფელი და სასოფლო უკოლა (გაგრძელება), საზღვარ-გარეულისა.—წყაღდიდობის გამო, დუტუ მებრელისა.—მოკლე პასუხი გრძელ ლანძღვაზე, ან. წ—ისა.—კვირიდან კვირამდე, გრ—ოლ—იქსი.—ბიბლიოგრაფია: ლვინის დაყენება, შედგენილი პროფ. ვ. პეტრიაშვილის მიერ.—საქველ-მოქმედო საქმე.—კერძო და ქუთაისის ბანკის განცხადებები.—

ცხოვრება და მწერლობა.

ქველსაგან მიღებული და აღსარებულია, რომ მწერლობა შესამჩნევსა და აუცილებელ ძალას წარმოადგენს ერის ცხოვრებაში. მწერლობა ზრდის და წრთენის ერის ცნობიერებას, აფხიზლებს მის გონებას, აფაქიზებს მის გრძობას და უღვიძებს მას სამერმისო, სამარადისო ზრახვათა და მისწრაფებათ. მწერლობა მტკიცეთ და ღრმათ არკვევს ცხოვრების რთულ ვითარებას, იძიებს პირობათ, რომელშიაც თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობას ერი ჩაუყენებია, და, ამ პირობათა შესაფერათ, საზოგადოებას მიუთითებს ხოლმე ამა თუ იმა საშუალებაზე, რომელიც ერს მტკაცე ნიადაგზე აყენებს, მას წინ ეწევა და სასურველ



ღათის მშობელი და იქ მისი იესო.

მომავალს უახლოვებს. ასეთი მწერლობა ყოველგან და ყოველთვის მოწონებული და ქებულია. მის ყოველ სიტყვას, ყოველგვარ რჩევას საზოგადოება თვალყურს ადევნებს გაფაციცებით, გამუდმებით. საზოგადოებაც ამ მწერლობით ფიქრობს, აზროვნებს და მოქმედებს.

ასე დაკავშირებული, შეზდილი და შეხორცებულია მწერლობა ცხოვრებას და საზოგადოებასთან. ეს დაკავშირება და ერთსულობა კი იმის შედეგია, რომ მწერლობა გამუდმებით თავს დატრიალებს ცხოვრებისა და ერის ჭირსა და ვარაშს, ყოველთვის თვალ წინ უდგას მისი ნამდვილი და უტყუარი ინტერესი, სარგებლობა, ანუ ფსიხოლოგიური ენით რომ ვთქვათ, მწერლობას საზრუნველათ აქვს ერის ქე-

შმარიტი მოთხოვნილებანი. აი, ასეთი მწერლობა უნიადაგო და უსულო მქადაგებელს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი ძლიერი მესვეურია ერისა, ცოცხალი და ფხიზელი ძალაა ცხოვრებისა.

ოცდაათი, ორმოცი წელი იქნება, რაც ჩვენი მწერლობა გამოირკვა, მაგრამ მტიკცე კავშირი მწერლობასა და საზოგადოებას შორის ჯერ მინც არ არსებობს, არა ჩანს. ჩვენი მწერლობა, თითქო მეტი ბარგიაო, ასეა თავისთვის, მიტოვებული, მივიწყებული; ცხოვრება და საზოგადოება თავის გზაზე მიდის. მომდინარეობს ჩუმად და მწერლობას არც თვალსა და არც ყურს არ ადევნებს. აი, სამწუხარო ფაქტი, რომლის დამნახველი დღეს ყველა ჩვენგანია. რათ არის ეს ასე? სად არის მიზეზი ასეთი სავალალო მოვლენისა?..

აი, ფრიად საგულისხმო საკითხი, რომელიც გამოირკვეული და ახსნილი უნდა იქნეს, თუ გვსურს, რომ ეს არაა სასურველი და სამარცხენო ვითარება თავიდან ავიცილოთ. ჩვენმა მწერლობამ მიბაძვით აიღვა ფეხი. იგი მაშინ სრულებით მოკლებული იყო დამოუკიდებლობასა და თავისებურებას. ამისათვის მას არც ძალი და არც შესაფერი მომზადება არ შეჰწევდა და გარეშე გარემოებაც კი ხელს არ უწყობდა. ამიტომ რაც შეუძლებელი იყო, ის რომ მოგვეთხოვა, — ეს ხომ მეტის მეტი ახირებულება და ჰირვეულება იქნებოდა. ჩვენი მწერლობისათვის ისიც დიდი იყო, რომ მან დროს აღიო აულო და ბანი მისცა სხეას*) ისეთი განწყობილებისა და ცხოვრების ვითარების საწინააღმდეგოთ, რომელიც

ერს ყოველ გვართ ამცირებდა. აი, ამ გარემოებამ ხელი შეუწყო, რომ ჩვენმა მწერლობამ საზოგადოების თვალში სახელი და პატივისცემა მოიხვეჭა. მაგრამ დიდი ხანი არ გასულა, რომ დიდებული საქმე შესრულებულ იქნა და ერისათვის სამარცხენო უღელი დამსხვრეული — ბატონ-ყმობა მოისპო. მწერლობისათვის სწორეთ ეს გარემოება შეიქნა იმ ფონათ, რომელიც ერთგან აღჩობს. ამას შემდეგ მართლაც ნიადაგი დაჰკარგა ჩვენმა მწერლობამ და საზოგადოებამაც მას ზურგი შეაქცია. რატომ მოხდა ეს ასე?

ჩვენი ერის ცხოვრება ახალი ვითარების გზას დაადგა. ბატონი ყოველად უმწეო შეიქნა. ერცელი საუკუნოების განმავლობაში იგი დაჩვეული იყო, რომ მისთვის ყმას მოველო და ესაზღოებიანა. დღეს კი მასვე შეექნა თავის თავი საზურუნველი. ამის მისაღწევათ კი მას არა ჰქონდა არაფერი — არც შრომის სიყვარული, არც მომჭირნეობისა და თავდარიგის გრძნობა და არც დროისა და გარემოების შესაფერი ცოდნა. ამას ისიც მიუმატეთ, რომ მას ამ მოულოდნელმა ქარტახილმა უფრო მეტი მედიდურება და დაუნდობლობა აგრძნობია. ასეთ გარემოებაში ჩაყენებულ მიწა წყალი მიუგდეს და უთხარეს, ეს შენია, შენვე დაამუშავე რე თავი ისე გამოიკვებო. აი სწორეთ დაცინება, თუ გინდა, ეს არის! დაჭრილ ლომს კლანჭებიც მოაკეცე, მერმე გაუშვი და უთხარო: წადი, საზღო-საკვები მოიპოვეო? ყმამაც უფრო უარეს მდგომარეობაში ამოყო თავი. მართალია, გაათავისუფლეს, ბატონს მოაშორეს, მაგრამ მიწა დსამუშავებელი, ურომლისოთ მას არც ერთ დღეს ცხოვრება არ შეუძლია, არ მისცეს. რა ექნა და რა უნდა ეფიქრა? მას, გუშინდელ ყმას, ხელები გაუხსნეს, მაგრამ სამოქმედო და სამუშეგარი კი არა მიანიჭეს რა. ის კი არა, უარესიც უყვეს: სხვა-დასხვა გვარი სახელმწიფო ვადასახადი თავს მოახვიეს.

აი, ასეთ გამოურკვეველსა და აუტანელ ვითარებაში ამოყო თავი ბატონმაც და ყმამაც. ხოლო მესამე კი შორი-ახლოს იღვა და ჩუმად გუნებაში ხითხითებდა, რადგან იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ ორივე უნუგეშო და უშემწეო მისი ლუკმა იქნებოდა. ვინ იყო ეს მესამე, აქამდინ უმნიშვნელო? ეს მესამე ვაჭარი, აღებ-მიმცემი და მრუწველი იყო. რადგან მოქმედებისა და შრომის ასაარეზი, როგორც ბატონისათვის ისე ყმისათვისაც სოფელი იყო, მესამესათვის კი ქაღაქი, ამიტომ, სხვანაირათ რომ ეთქვათ, ის, ვინც ჩუმად გუნებაში ხითხითებდა, იყო ქაღაქი, გულსაკლავსა და გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაყენებული კი — სოფელი.

*) ასე მიტომ ვამბობთ, რომ გითხვას ბატონ-ყმობის გაყრასზე ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაში არაუვის თავის თავთ არ გამოუწვევია. ეს რომ მართალი არ იყოს, მაშინ ჩვენს მწერლობას ვრცელი ეკონომიური და იურიდიული გამოკვლევა უნდა ჰქონოდა, რომლის საშუალებით ეგელსათვის ცხად უნდა ეყო ბატონ ყმობის სისამაგლე. მაგრამ, როგორც ვიცით, არც ერთი ასეთი ნაშრომი ჩვენს მწერლობას არ მოუქმებუბა. მაშინ მხოლოთ პოეტები ავრცელებდენ ორიოდე სიტყვას საზოგადოებაში ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. მაგრამ პოეტები საზოგადოების მხოლოთ გრძნობაზე მოქმედებდენ და არა გონებასა და მოსაზრებაზე, ასე რომ ჩვენში ბატონ-ყმობის მოსპობა გრძნობის შედეგი იყო და არა ღრმა რწმუნებისა და მოქალაქეობრივი სიმტკიცისა და ვინ იცის, რომ, თუ არ სსკისი ძაღდატანება, იქნება ეს სამარცხენო უღელი დღესაც კისერსე ბგდგოდა!

სტ.

ესა.

(შემდეგი იქნება)

სხვა-და-სხვა ამბები



მ დღეებში „იერიამი“ გვაუწყა აკაკის ავად-მყოფობა. როგორც გვატყობინებენ ხარკო-ვიდან ჩვენი საყვარელი პოეტი უკეთ არის.

* *

მთავარ-მართებლის საბჭოში ამ დღეებში დანი-შნული იყო განსახილველათ შემდეგი საგნები: და-არსდეს ერთი სამეურნეო სამასწავლებლო სემინარია, რომელშიაც სწავლა დამთავრებულნი მასწავლებ-ლათ იქნებიან იმ ნ-ის მეღვინეობის სკოლებისა, რომელთა გახსნა მთავრობას განუზრახავს, აგრეთვე გაახსნეს ღვინის დაყენების შკოლა, და ქუთაისის სა-მეურნეო შკოლაც გადაკეთდეს მეღვინეობის შკო-ლათ.

* *

მთავრობას რამოდენიმე თანხა გადაუდგია, რომ ქ. სოხუმის ნავთ-სადგურა შესაფერათ მოაწყოს და გააუმჯობესოს,

* *

აქამდინ საფილოქსერო დასს საჭირო ხარჯს ხა-ზანა აძლევდა, ახლა კი მართებლობას გადაუწყვე-ტია ეს ხარჯი ევენახის მეპატრონეებს აკისრებოს.

* *

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო დავით სარაჯი-შვილისაგან, სოლომონ ტუსიშვილისაგან და დარის-პან ხელიასაგან ყურნალის წლოური ფასი, რომ რედაქციამ უგზავნოს რომელსამე ლარი შკოლას ან სამკითხველოს. რედაქციამ გადაწყვიტა გაუგზავნოს ოზურგეთს, სოფ. ასკანის სამკითხველოს, თელავს, სოფ. აწყურის შკოლას, და სოფ. ნიგოთის შკო-ლას.

* *

წრეულს მორიგი საბანკო კრება მოხდება აპ-რილის დამდეგს.

* *

რედაქციამ მიიღო დეკანოზ დავით ლამბა-შიძის გამოცემული ამ წლის სასულიერო და საერო ნახატებიანი კალენდარი. წიგნის ბოლოში ჩართუ-ლია სხვა-და-სხვა ხალხთა ტიპები, ჩვენი წმინდანე-ბის ნახატები და ხსენებული ტიპეზა მეტათ სუფ-თათ და შნოიანათ არის დაბეჭდილი.

* *

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ჩვენი დაულალავი მშრო-მელი ზაქარია ჭიჭინაძე რომლის ავთომყოფობაც „იერიამში“ იყო გამოცხადებული ეხლა უკეთ არის.

საყურადღებო ამბები.

„კავკასიური საღამო“ ჯეჯეში.



მეკემბრის 25 კავკავში გამართულ იქმნა „კავ-კასიური საღამო“, რომლის წმინდა შემოსა-ვალი დანიშნული იყო ქუთაისისა და თფი-ლისის გუბერნიებში წყალ-დიდობისაგან დაზარალე-ბულთა სასარგებლოთ. საღამო გამართული იყო „კავკავის ქალაქის საკრებულოში“, რომელიც ელექ-ტრონით გაენათებიათ და აღმოსავლეთის გემოვნე-ბაზე მოკრთოთ. ერთი კარგა გრძელი ტალანი მო-რთული იყო ხალ-ფარდაგებით. ტალანის ერთი მხა-რე სავსე იყო სხვა-და-სხვა ძველი იარაღებით (რო-მელიც ეთხოვებიათ თავ. არ. გ. ჭეჭეჭაძეს): თოფე-ბით, დამაჩაჩებით, ხმლებით, ხანჯლებითა და სხვ. მერმე ეწყო სამუსიკო საკრავები: დაირა, ნალარა, ჩონგური, თარი, ჭიანური და სხვ. ერთი სიტყვით, იქ იყო ყველა ის იარაღები და საკრავები, რომლე-

ბიც ინმარებიან კავკასიაში; მეორე მხარეს კი ჩა-მოკიდებული იყო სურათები კავკასიის სხვა-და-სხვა ერის ტიპებისა. -- შევნიერი რამ იყო ხელოვნე-რათ გამართული გამოქებაული ტინი. გამოქებაუ-ლი წარმოადგენდა გადმოხურულ მთის ძირს, შიგ ამოჩუხჩუხებდა შადრევანი წითელი ღვინისა, იქვე მოჩანდა ჩეჩენი, რომელსაც ხელში გრძელი თოფი ეჭირა და ეპარებოდა მახლობლათ მწოლიარე ვეფხს. გამართული იყო აგრეთვე „ქართული დუქანი“ რუ-სული წარწერით, რომელიც შევცდომებით იყო სავ-სე, რასაკვირველია, განგებ. უკრავდა მუსიკა, საზან-დარები იყვენ სომხები და თათრები; ამიტომ მზო-ლოთ სომხურათა და თათრულათ მღეროდენ. ქართული სიმღერები კი, სამწუხაროთ, არ ისმოდა, რასაკვირველია, იმიტომ, რომ არ იცოდენ. „საღა-მოს“ გამგეთ, სხვათა შორის ერთ თეალსაჩინო ნაკ-ლულევენებათ უნდა ჩაეთვალათ, რომ „საღამოს“ პროგრამმა არ შეიცავდა არც სიმღერებსა, არც ლექსებ-სა და არც ბუნდოვან სურათებს კავკასიის ცხოვერე-ბისას და, ამიტომ, არცა ჰგავდა სატანტო ქალაქებ-

ში გამართულ „კავკასიურ საღამოებს“. ცეკვა-თამაშობა კი ბევრი იყო, მეტადრე ევროპული, და გაატანა დილის 5 საათამდე.

სიამოვნებით უნდა აღენიშნოთ, რომ ხალხი საქმათ ბევრი დაესწრო და, ეგონებ, უფრო მეტიც დაესწრებოდა, თუ ხელი არ შეეშალა ერთ დიდ ქორწილს, რომელზედაც მიწვეული იყო თითქმის მთელი მდიდარი სამხობა, რის გამო ამ „საღამოს“ სამხები ცოტანი დაესწრენ. თუ არა ეცდები, წმინდა შემოსავალი უნდა იყოს 500 მანათამდე.

მიუხედავად ამისა, დიდათ საქებია კავკავის ქართველობა, რომ არ იეიწყებს გაჭირებულ მოძმეებს და, რითაც შეუძლია, დახმარებას აძლევს. მართალია, ეს დახმარება წვეთია ზღვაში, მაგრამ არ უნდა დაეიფიწყოთ, რომ ზღვა კოვზით დაიღვეა, და კოვზითვე აივსება. ბევრი რომ შეგროვდეს ამისთანა „წვეთები“, მაშინ დაზარალებულთაც საგრძნობათ შეუსუბუქდებათ ის გაჭირვება, რომელიც მიაყენა ოქტომბრის წყალ-დიღობამ. სამწუხაროთ, როგორც ჩანს, დღევანდლამდის არ შემდგარა არაერთი კომიტეტი დაზარალებულთა დასახმარებლათ. არ ვიცით, რას მივაწეროთ—ჩვეულებრივ გულ-გრილობას, თუ სხვა რასმე?!

„საღამოს“ გამართვაში დიდი ღვაწლი მიუძღვით და ამიტომ, დიდი მადლობის ღირსნიც არიან შემდეგი პირნი: კნენია მ. ზ. ჰავეჯიძისა და ბ-ნი ალ. პ. სარაჯიშვილი, როგორც მოთავენი და გამგენი; მხატვარნი მადღესიკი ჭ სტროინოვსკი, რომელთაც, გარდა ზემოხსენებული გამოკვებული ტინის ვაკეთებისა, სხვაფორიაც მიიღეს მონაწილეობა; კავკავის ქალაქის საკრებულოს გამგეობა, რომელმაც უფასოთ დაუთმო თავისი ჩინებული სადგომი, და ყველა ისინი, რომელთაც ცოტათ თუ ბევრათ მონაწილეობა მიიღეს „საღამოს“ გამართვაში.

ჯამსწრე.

დ. აბაშ. არ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს ის უფულობა და სიქესატე, როგორიც წარსულსა და მდგომარე წელს საერთოთ აქ არის! მრავალი ოჯახია რომ წულაც ვერ შეუტკრია სადღესასწაულოთ და პურ მარლიის მოყვარული ხალხი ჩვეულებრივთ ამ დღესასწაულებში დროს გატარებას მოკლებულია. მოსავალი ზომ სრულებით აქეთ არ მოსულა! აქაურების ცხოვრების სახსარი სიმინდია და ისიც კული ამინდებისაგან ერთიანათ დაიღუპა. რა უნდა ჰქნას ხალხმა? ამის ფიქრში და გლოვაში არიან დღეს! ჯერ იყო-და, აზნაურობის დამტკიცებამ და ძებნამ ერთ მილიონამდე ფული ჩაღუპა თბილისსა და ქუთაისში.

ამდენი ფული რომ ერთ კუთხეს გამოაკლოთ, რასაკვირველია, სამავალითოთ დატყობა ხალხის ავლადიდებას, ამას ზე დაურთეთ ბუნების ლალატიც—და თვალწინ ნამდვილი სიქესატე დაგჩაბტებთ.

აქეთ, რიონის პირათ, წყალ-დიღობამ რომ ზარალი ჰქნა, არავის არ უნახავს ამისთანა მაგალითი როდისმე მომხდარიყოს, აუარებელი წერილ-ფება საქონელი ერთიანათ დაიხრჩო და სხვა ზარალს ანგარიში არა აქვს. ავთამყოფობაც ძალზე გავრცელებულია, მაგრამ პირველი მოხსენებული მიზეზი ხელს უშლის, რომ მცხოვრები სენს შეებრძოლოს. სიმინდირაც მოგვივიდა, მასაც ფასი არა აქვს. ასეთი გაჭირვება ადგია საერთოთ მდებო ხალხს სამეგრელოში.

როგორ მოგიგონოს შენ, ძველო წარსულო წელიწადო, კაცმა?—მართო წყველა—კრულვით, მეტით არაფრით?

ბ. დ—ქ.

ბათუმი. კვირას, 14 იანვარს, ბათუმის კლუბში გამართული იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის შკოლის სასარგებლოთ ქართული საღამო. „ქართული საღამოს“ გამართვა ბათუმში 1894 წ. დაიწყეს და ეს მხოლოთ მეორე იყო. საღამოს პროგრამა შედგებოდა ორი განყოფილებისაგან—სასიმღერო და სცენების კითხვისაგან.

საღამომ საზოგადოთ ჩინებულათ ჩაიარა. განსაკუთრებით დიდათ ასიამოენა საზოგადოება ქ-ნ მ, ძნელადის სიმღერამ „ნანა შეილო ნანინ“—მ, კოტე მესხის იმერულმა სცენებმა და გურულთა მომღერალმა გუნდმა, რომლებიც იყო გურულ წითელ მაუდის ტანსაცმელში გამოწყობილი. აგრეთვე საუცხოვოთ შეასრულეს რუსული „ოპერეტიდან“ სცენა ოპერის ტანსაცმელშივე გამოწყობილმა ქ-ნ სოლორაშვილისამ და ბ—ნ სედენიკოვმა.

დასასრული აღარ მიეცა ლეკურ ცეკვას და ეპროპიულ „ტანცს“.

ნაღდი შემოსავალი 2000 მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

აქ უნდა შეენიშნოთ, რომ საზოგადოთ ბათუმის მცხოვრებლები ყოველ ამ გვარ საზოგადო საქველ-მოქმედო საქმეში ყოველთვის დიდ თანაგრძნობას იჩენენ: ტევა აღარ იყო აქაური კლუბის ყველა ოთახებში და დიდ დარბაზში. გარდა აქაური მკვიდრისა კარგა ბლომთ იყო გურულები განგებ ამ საღამოზე დასასწრებლათ ჩამოსულნი. იყო ახალსენაკიდან იქაური თავად-აზნაურობა და სხვ....

საღამოს გამართვაში მეთაურებათ მანდილოსნები იყვენ და ეს მით უფრო სასიამოენოა, რომ ბათუმელ მანდილოსნებში ბევრი დიდ სურვილო

იენს საზოგადო საქმეში მონაწილეობის მისაღებათ და დიდი ენერგიით ასრულებენ ნაკისრ საქმეს. სწორეთ დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საღამოს მეთაურები.

ვისურვებთ, რომ ყოველ წელიწადს ასეთი

ენერგიით მოკიდებოდენ ამ საქმეს და ასეც დაევირგეინებოთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, როცა „ქართულ საღამოს“ გამართვენ, ქართულა ელგერიც მეტი ჰქონდეს.

კ. თ.

ჩვენი სახიობა.



თხზაბათს, ამ თვის 17-ს ე. გუნიას საბენეფისით წარმოდგენილი იყო ორი პიესა. ერთი—პირველი ბუზი—სამ მოქმედებიანი კომედია ე. ველიჩკოსი გუნიას მიერ გადმოკეთებული. მეორე—„ცხოვრება“ ორ მოქმედებიანი ორიგინალური დრამატული სურათი ე. გუნიასივე.

„პირველი ბუზი“ სულ ახლათ არის გადმოკეთებული და ჯერ, ამის მეტათ, არ უთამაშიათ ქართულ სცენაზე. გადმოკეთებულს ის კი ვერ უქნია კარგათ, რომ მოქმედი პირნი ორ ბანაკათ დაუყვია—იმერლებათ და ქართლებათ. პიესის შინაარსი ფრიად სადა და უბრალოა. ღლონტაძეს (გედევანოვი) ჰყავს 24 წლას ქალი (ეფ. მესხი), რომელსაც ადგილობრივი ახალგაზდობა ყურადღებას არ აქცევს. ამ დროს იმ ქალაქში, სადაც ღლონტაძე ცხოვრებს, ჩამოვა თავი. რაინდაძე (გუნია)—კაცი მდიდარი და დამსახურებული. რაინდაძეს გაიცნობს და დაუახლოვდება ღლონტაძის ვაჟი-შვილი—მათე (ე. აბაშიძე), რომელსაც უსაქმით დატანტალებს და ფუქსავატობასა და კარტის თამაშში ატარებს დროს. აი, ამ მათეს მეოხებით, სრულებით შემთხვევით, რაინდაძე ღლონტაძისას მიდის. აი, აქ არის ნასკოც პიესისა. ღლონტაძის ქალი, ლიზა, არც აცივებს და არც აცხელებს, ისე მაშინვე რაინდაძეს თხოვს, ეხვეწება, რომ მას არშიყოფა დაუწყოს. თუ შენ გამიარშიყდებო— ეტბნება ლიზა—მაშინ სხვა ახალგაზდობიც ყურადღებას მომაქცევენ და შემოვიყარებნო. ხომ იცი, ნამცეცს რომ პირველი ბუზი დააჯდება, მერმე იქვე თავს მოიყრის ხოლმე სხვა ბუზებიცო. აი, ეს პირველი ბუზი უნდა იქნე შენ, მე კი ნამცეციო. სიტყვა საქმეთ იქცა, თხოვნა შესრულებული. რაინდაძე, შეძლებული თავადი, სამსახურში წარჩინებული და საქმათ ლამაზაც, ლიზას გაუარშიყდება. ეს გარემოება შურსა ჰგერის ახალგაზდებს რ მათ ლიზაზე ყურადღებას მიაქცევენებს: ყველაზე უფრო ლიზას სიყვარულმა კოწია ჯაფარაშვილი გაიტაცა. ლიზასაც ეს უნდა: წადილი შეუსრულდა. ლიზა ჯაფარაშვილს ვაყვა ცოლათ.

კომედია საქმათ სასცენოა, მოქმედება ცოცხალი და მოძრავია. ჩვენი მსახიობნიც კარგათ ასრულებდენ თავიანთ როლებს. კარგი რამ იყო ღლონტაძის ცოლის როლში ქალ. ჩერქეზიშვილისა. ხოლო იმერელ მანდილოსანს კი კარგათ ვერ გვიხატავდა.—ბ. გედევანოვს არ ეტყოფა ბუნებრივობა; იგი ნამეტან ძალას ატანს თავის თავს, აპატრამ აჭარბებს. ასე რომ არ იქცეოდეს, უმჯობესი იქნებოდა. მისი ნიჭის პატრონს ყოველთვის ადვილათ შეუძლია ეს ნაკლი აიცოლოს. საქარაა მხოლოდ ყურადღება მიაქციოს თამაშს ე. აბაშიძისას, რომლის ყოველი მოძრაობა ასე სრული და ძალდაუტანებელია.—ლიზას როლი ეფ. მესხმა ჩვეულებრივთ კარგათ ჩაატარა. მაგრამ ე. გუნია კი ღმერთმა შეიანახოს! შესანიშნავათ ამბობდა მხოლოდ „это зам'чательно!“-ს. გარშოყვებამ ლიზასადმი სიყვარულიც აკრძობია, მაგრამ ამ თავის სიყვარულს ბ. გუნია მხოლოდ იმით გვატყობანებდა, რომ მხრებს ზევით წვედა, ისე, როგორც ვაკვირების დროს ვიცით ხოლმე.

მეორე პიესა „ცხოვრება“ მეტათ ულაზათთ შედგენილია. თათონ მსახიობნი ცდილობდენ დავერწმუნებინეთ, ეს დრამაო, მაგრამ ჩვენ კი გარდა სიტყვების რანა-რუხისა და წმუტუნისა არა გვესმოდა რა და არც ეხედავდით. ეს არას რალაც გაუთავებელი მონოლოგ-დილოგება, რომლის წარმოქმნის დროს საზოგადოებაში ბევრს ჩაეძინება ხოლმე. აქ არ არის არაერთარი მოქმედება, მოძრაობა, არის მხოლოდ საყველ-პურა დაბალი პრაბის მორალი, რომელსაც თეთი პიესიდან კი არა ჩანს, არა, მას ერთ-ერთ ასრეთ წოდებულ მოქმედ პირისაგან ეტყობილობთ. რა ჰქნას აქ არტისტმა, მსახიობმა, თუგინდ იგი პარიკის ტოლი იყოს ნიჭით?

საზოგადოება დიდძალი დაესწრა. აქ სხვათა შორის ნახავდით ისეთ პირებსაც, რომელნიც მეტათ იშვიათათ ესწრებიან ქართულ წარმოდგენებს. მობენეფისემ აუარებელი საჩუქარი მიიღო. საკვირველია, ღმერთმანი! საჩუქარი, რამდენათაც ვიცით, იმის მაჩვენებელია, რომ ეს თუ ის მსახიობი თავის ნიჭით საზოგადოებას მოსწონს. ჩვენ გუნიაზე ბევრათ უფრო ნიჭიერი

მსახიობნი გეყავს. მაგრამ მათ თავიანთი ბენეფისის დროს იმის ნახევარი საჩუქარიც არ მიუღიათ, რაც ე. გუნიაშვილს. ეს გარემოება კი ფრიალ სამწუხაროა, რომ სასაცილო არ იყოს. საზოგადოება უნდა ღირსებით

აფასებდეს ყველას, თორემ ნიჭიერ მსახიობთ გული გაუტყუდებათ და გულს აიცრუებენ. მაშინ გამოჩნდება შედეგი საზოგადოების ასეთი განუტრეხლობისა!..

* *

შევეურებ ცასა, ვარსკვლავთ სრბოლას
თელსა ვადენებ,
მაგრამ ვერ ვხედავ ჯერ იმ ვარსკვლავს,
რომელსაც ვეძებ...
ნუ თუ ვერც ვნახავ, ნუ თუ მანამ
ის აღმოხდება,
ველარ აიტანს ტანჯვას სული
და ამომხდება?

ოჰ, თუ ასეა, თუ მის ხილვას
ვერ მოვესწრები,
შემდეგ თაობათ ეუანდერძებ
და ვევედრები,
როს პირველ ჰნახონ ის ჩენს ცაზე
გაბრწყინებული,
აცნობონ, რომ მე მის ლოდინში
დავლიე სული!..
დეკემბერი 1895 წ.

დუტუ შიგრელი.

სოფელი და სასოფლო შკოლა

გეგმანიაშვი. *)



ახემწიფო გზებს ერთეის სასოფლო გზები, რომელთა ნაპირას გაშენებულია მეოთხე ჯგუფის, ანუ „მივარდნილი“ სოფლები. სოფელი პატარაა, 400 სულს არ აცილდება მცხოვრებთა რიცხვი. დობელიდან ერთი საათის სავალზე ძვეს ს. ნოისაელი, რომელშიაც ოთხასი სული მცხოვრებია. სახლები პატარებია, ქუჩა ვიწრო და მოკლეა, ორ წუთში თავიდან ბოლომდე ჩაივლი. აქეს ერთკლასიანი შკოლა, შემოკლებული სასოფლო სამმართველო (ე. ი. ბურგომისტერის თანამდებობის აღმასრულებელი ჰყავთ), ეკლესია არ აქვთ, სალოცავათ დობელში დადიან, ყავა-ხანა კი ოთხია. შევედი ერთ იმათგანში. მარა რა ყავა-ხანა! სწორეთ fin de siècle-ისაა. ორი უშნო სტოლი, რამოდენიმე გძელი სკამი, პატარა ზალა, კუთხეში ბოთლები და რაღაცებია მიყრილი. ერთი ბებერი ქალი შემეფეთა.—აქ საღლაც ყავახანა უნდა იყოს, ვკითხე.—აი ეს არისო, მომიგო. რასაკვირველია ჩემით ვერ წარმოვიდგენდი საღმე ვეროპაში ასეთი ყავახანა იქნებოდა. შევეურივდი ბედს, როგორც იყო მივათრივ სკამი სტოლთან და ლეინო მოვიტხოვე.

მომიტანეს მეოთხელი ბოთლი, 40 ჰენინგი ღირსო, დააყოლა ზედ. (ასი ჰენინგი ერთი მარკა) მარა ლეინის მეტს ყვე იაფერს ჰგავდა.—სადაურია ეს „ლეინო“?—ლეინო კაი იყო, მაგრამ ცოტა შეცვლილია, აქ ლეინის მუშტარი იშვიათათ გეყავს, ხალხი მუდამ ლუდს თხოულობს, ამიტომ ლეინო დიდხანს გვირჩება სარდაფში და ხან-და-ხან გვიფუჭდება, ამისხნა დედა-ბერმა. ლუდი კი გვარიანი ჰქონდა. საქმელი მოვიტხოვე, ერთი წვერ ჩამოტეხილი ჩანგალი, ხუთათ გალუნული, გაშავებული კოვზი და ბლაგი დანა დამიწყვეს წინ. სტოლის გაწყობაც თავისებურათ წარმოებს, სამი ქალი მსახურებს: ერთს დანა მოაქვს, მეორეს ჩანგალი, მესამეს სუფრა და ასე ერთმანეთს ეჯობრებიან. ცოტა ხანს მერე საიდანღაც მეოთხეც ამოძვრა, ახლა ესეც შეუდგა ფაცურს. დედა-ბერმა მითხრა. ოთხივე ჩემი შეილებიაო და გვერდით მამიჯდა. პური ისეთი მაგარი იყო, რომ ერთი ნატეხი ძლიერს ჩამოველიჯე (დანა არ ჰკიდა). დედაბერმა ბოდიში მოითხოვა: ჩვენ აქ გარეშე სტუმრებს არ ვართ შეჩვეული, არავენ ჩამოდის აქეთ, ჩვენსავე სოფლებებთან ამითაც იოლათ მივდივართო. რატომ შკოლა კი აგიგიათ და ეკლესია არა?—საკუთარი ეკლესიისათვის ცოტანი ვართ, გარდა ამისა შკოლა კვირ შა შევიდჯერ გვეკირდება, ეკლესია კი ერთხელ, მომიგო დედაბერმა. ამ დროს შემოვიდა რამდენიმე ახალგაზდა, მოითხოვეს თათო ბოთლი ლუდი და ბანქოს თამაში დაიწყეს.—ესენი ს. ჰოფენში რკინის გზის პირას მუშაობენ

*) ის. კვლეი № 3.

ხერხზე — გადმომიფურჩულა ჩემმა მეზობელმა. შემდეგ 13—15 წლის ბავშვები შემოვიდნენ, ამათაც ლუდი მოითხოვეს და ბანქო. ფულზე კი არ თამაშობდნენ. დედაბერმა ხელ-ახლა ვადმომიფურჩულა: ამათ ახლა ფული ექებებთ და აქ უნდა დატოვონო — ეინ აძლევს ფულს? — ზაფხული ფულის საშოგარი ღროა ბავშვებისათვის, ტყეში კრეფენ სხვა-და სხვა გარეულ ნაყოფებს და ჰყიდიან, ზოგი მუშაობს, გზას კენჭებს, ასე რომ შკოლის წიგნებს და საზამთრო ტანისამოსს ხშირათ თავისი ნაშოგი ფულით იყიდიანო. ერთმა ბავშვმა მეორე ბოთლი ლუდი მოითხოვა, დედაბერმა აღარ მისცა, ორი ბოთლი კი არა, ერთიც ბევრია შენთვისო.

როგორც აქაურმა მასწავლებელმა გადმომცა, საზოგადოებას დაუარსებია შემნახველ-გამსესხებელი პატარა ბანკი, რომლის ხაზინადარი თვითონ მასწავლებელია. ამის მიზეზათ მოიყვანა შემდეგი: სამაზრო ქალაქიდან ჩამოდიან ურები და გაჭირებულ გლეხებს ფულს ასესხებენ ნ — 8 პროცენტის სარგებლით. ჩვენი ბანკი 3 1/2 პროცენტით ასესხებსო. აი, ეს როგორ წარმოებს; ვისაც ფულის შენახვა უნდა, ბანკში შეაქვს, ხოლო ვისაც ესაჭიროება, სესხათ გააქვს. ფული ბლომით გვაქვს კასშიო, რაც ამტკიცებს იმას, რომ შემომჯანი ე. ი. შენახვის მსურველნი მეტო ყოფილან ეინემ გამტანნი ე. ი. მსესხებელნი. მასწავლებელი უსასყიდლოთ ასრულებს ხაზინადრობის თანამდებობას. გარდა ამისა ამ პატარა სოფელს რამდენიმე ათასი მარკა საწმეწიფო ბანკში ჰქონია შენახული საზოგადოთ, მე ძალიან მაკვირვებს ის გარემოება, რომ ასეთ პატარა, მივარდნილ სოფელში ამდენი ფული ტრიალებს. აქ შემთხვევით ქორწილს შევესწარი, დობელის ეკლესიაში ჯვარი დაწერათ და მიღოდნენ. „ნეფე“ გამოწყობილიყო შეე „კოსტიუმში“: შავი სერთუკი, ასეთივე შალგარი, გაკრიალებული წალა, თავზე ცილინდრი, ხელზე თეთრი ხელთათმანები. დედოფალი სულ უბრალოთ იყო ჩაცმული, ერთმა მაყურებელთაგანმა თქვა: ეს მისი მეორე ქმარია. მილამაზ-მოლამაზებას დიდათ აღარ აფასებსო. თავიანთი მაყრებით (სულ ნ კაცი და 2 ქალი) შევიდნენ ყავახანაში, სადაც სადილი ჰქონდათ გამართული. ერთმა ხნიერმა კაცმა მითხრა: მე არ მახსოვს, ქორწილი ოჯახში გავემართოსო; ეს უანგარიშობაც იქნებოდა. ყველაფერი ხომ უნდა იყიდა და ბარემ იქ არ ჯობს, სადაც მოწყობილება მოხერხებულია.

გადავიდეთ სხვა სოფლებზეც. როტენსლი, 347 მცხოვრები, ერთ-კლასიანი შკოლა და სასამართლო. ეკლესია არ არის. დენახი, 338 მცხოვრები, შკოლა და სამმართველო, ეკლესია არ არის;

ბერნობოხ 524 მცხოვრები, შკოლა და ეკლესია, ამაზე მიწერილია პატარა სოფელი მასგრონი; შვარცენბერგი 259 მცხოვრები, შკოლა; მიფელსბერგ, 370 მცხოვრები, შკოლა და სამართველო, და სხე.

სოფლები ერთი შეორესაგან საკმაოთ დაშორებულია. მთელ მაზრაში, სიერცესთან შედარებით, მცხოვრებთა რიცხვი ცოტაა. ეს წარმოდგება იქიდან, რომ სამუშაო ბევრი არ არის. ახლანდელ დროში სადაც ფულის საშოგარი ადგილია, ხალხიც იქ იკრიბება. აქაურ გლეხ-კაცს რომ ჰკითხო, გეტყვის ნეტავ არც ამდენი ვიყოთო. როტენსელის მასწავლებელმა გადმომცა: ამ სოფელში ათა წლის წინეთ გაცილებით მეტი მცხოვრები იყო ეინემ ახლა, ნახევარზე მეტი გადასახლდა-ზოგი ქალაქებში, ზოგი ამერიკაშიო. ასეთი მაგალითი ერთობ ხშირია, არა თუ ხშირია დღევანდელ სოფელს ეს საფუძვლათ დადებია. ზოგი სოფელი მუდამ ერთ დონეზე დგას, არც კლებულობს, არც მატულობს. ამის მიზეზი ის არის, რომ გამრავლებულთა რიცხვი ტოვებს ოჯახს და ქალაქებში მიდის. ეს გადასვლა-გადმოსვლა, მცხოვრებთა მიმდინარე-მომდინარეობა პირდაპირ შეკავშირებულია ეკონომიურ პირობებთან. აღმინი დასაღვეს ნიეთსა და არა ნიეთი აღმინანს. ეს კარგათ აქვს შეგნებული სოფელს. ერთ ყავახანაში გლეხები ამ საგანზე ბაასობდნენ. — ჩემი სიცოცხლე ამ ხის ჩეხას როგორ უნდა შევალთ, დაიწყო ერთმა, კარგი იყო სადმე გადამეკვლია, ეგების სხვაგან ჯობს. — შენი არ ვიცი და ჩემ სოფელში ცოტა ხანს მერე კაცი არ დარჩება. წვაღ, ქვეყანა დიღია, თვალს ვავახლო — და ასე ნელ-ნელა ცალიერდება სოფელი. მე კი რაც უნდა დამემართოს ჩემ სახლს ვერ მოეშორდება. შენ რალას იტყვი, გარეთ გასული კაცი ხარ. მოუბრუნდა ერთ იქ მჯღამ გლეხს. — რა ვიცი, რომელი გავამტყუნო. ორივე მართალი ხართ. საქმეს მაინც დიდხანს უნდა ზომე. მე პირველათ აქედან პირდაპირ რესლაეში გავემგზავრე, მითხრეს იქ ახლოს ქვა-ნახშირის მადანი დამუშას თხოულობენო. ბრესლაეიდან მეორე დღეს ფეხით წავედი, შევედი ერთ ქალაქში. დავდივარ ხან იქით, ხან აქეთ ქუჩაზე, ვერავის ვხედავ, ვიფიქრე რა ამბავია, რომ ამოდენა ქალაქში არაეინ მოჩანს, ყავა-ხანებს კი უანგარიშოს ვხედავ. შევედი ერთში და ვიკითხე, სად შეიძლება მუშა-კაცის ნახვა. რამე საკითხავი მაქვს მეთქი ცოტა მოითმინეთ და ბერს ნახეთო. არ გაუფელია ერთ საათს, რომ მოვიდა, მარა რა მოვიდა, ქუჩა, ყავა-ხანები ერთიანათ აიგსო. რაც ჩვენ მაზრაში მცხოვრებია, ორი ამდენი კი იქნებოდა. აბა მითხარი, ამდენ ხალხს რამ მოუყარა თავი ისე მცირე ადგილზე? — რამ და იქ ქვა-ნახშირის მა-

დანია. სამუშაო ბევრია, ფული ტრიალებს. განა არ ეიცოდები, რომ იმ ნახშირში დასერას აქ სოფელში ყოფნა ჯობს. მარა ორი წელიწადი მაინც იქ დაერჩი. ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული. სადაც ფულს შაულობ, იქ რჩები, — დაბოლოვა როგორც იყო მოსაუბრემ. მგონია ჯერ კიდევ არ შეჩერდებოდა, ვილაცას რომ გარედან არ დაეძახა. გერმანელი ლაპარაკობს ნელა, დალაგებით, როცა ერთი გაათავებს მეორე დაიწყებს. შედაც ან სიტყვის წართმევა მათში იშვიათია. „შვეიცის“ სოფლებში ძლიერ გავრცელებულია ხის კედლის საათის კეთება. „Schwargwälder Uhr“ (შვეიცის საათი) მთელ ევროპაში ცნობილია. მაგრამ ეს წარმოება ისეა დაყენებული, რომ სოფელს დიდ შემოსავალს არ აძლევს. სოფელი ამზადებს საათის ამა თუ იმ ნაწილს და არა მთელ საათს. გაკეთებულ ნაწილებს ყიდულობს ვინმე კაპიტალისტი მესაათე, აწკობს ერთმანეთთან და ასე-ამზადებს მთელ საათს. ამ ნაირათ გლეხისაგან იაფათ ნაყიდი ნამოქმედარით თვითონ იტებს ჯიბეს. გლეხმა არც კი იცის, რომელი ნაწილი როგორ იხმარება რომ იცოდეს და თვითონ მთელი საათი მოამზადოს, გაყიდვა გაუჭირდება. ავას თანხა, ბაზრის მონახვა, საწყობი და სხ. ამისთანები ესაჭიროება. გლეხს ამისათვის, არც შეძლება აქვს, არც ცოდნა და არც დრო. ეს არ შეადგენს მისი ცხოვრების წყაროს, ამას ის სხვათა შორის მოცლილ დროზე, მუშაობს. ბავშვები ისეა ამ საქმეში გეარჯიშებული, რომ მთელი ზამთრით ამის მეტს არას აკეთებენ.

ახლა რამდენიმე საზოგადო შენიშვნები მოვიხსენიოთ.

გერმანელი სოფლის დედა-კაცი შეხედულეობით ძლიერ ულამაზოა. ჩამომხმარი პირის სახე, წითელი ლოყები, თეთრი თვალ-წარბი, ეიწრო და თხელი ნიკაბი, წაბლის ფერი თმა, ხელები და კისერი-ჩაშავებული — აი გერმანელი სოფლის დედა-კაცი. აცვიან საღათ ჩითის, უშნოთ შეკერილი, კაბა, ფეხზე კაცის ჩექმები. კვირა-უქმე დღეს ცოტა

უფრო გამოკოხტადებიან. საზოგადოთ პატარა ტანის და ძვალ წერილია. ერთი შეხედვით სუსტი ავთმყოფი გეგონებათ. მაგრამ სამავალითა მშრომელი და ჯაფის ამტანია. მან მოსვენება არ იცის. სილამაზეში მათ არც კაცები ჩამოუყარდებიან. თუმცა კაცებს ცოტა უფრო ლამაზი პირის სახე შერჩენიათ. ჩვენ ერთი საგულის-ხმიერო მოვლენა შევამჩნიეთ ევროპაში. ჩვენში მაგ. სოფლის მცხოვრებელთ მეტი ბუნებრივი სილამაზე ახლავთ, ვინემ ქალაქის მცხოვრებთ. აქ კი ერთიანთ შებრუნებულია. ქალაქელნი უფრო ლამაზებია, ვინემ სოფელელნი, ესენი ორ სხვა და სხვა ტიპს წარმოადგენენ. განსაკუთრებით გერმანიაში ეს მოვლენა თვალსაჩინოა. აქ უფრო ძლიერი ზღუდე აღმართულა სოფელსა და ქალაქს შორის; ვინემ საფრანგეთში და შვეიცარიაში. საიდან წარმოდგება ეს? ჩვენი აზრით ამის მიზეზი დამარხულია — მთელ ახალ ცხოვრების განვითარებაში. დღევანდელი ცხოვრება ქალაქური ცხოვრებაა, ის სოფლის დაჩაგვრაზე და განადგურებაზეა აშენებული, სოფელი ქალაქის ყმა ეკონომიურათ, გონებრივით და ბოლოს ფიზიკურათაც. ამიტომ სოფელისთვის ქალაქი სატრფიალო საგანია. იქ წასვლა და დაბინავება მისი იდეალია. ქალაქელს სოფლათ თავი მიაქვს, ამაყობს, თავის თავს მოქალაქეთ იწოდებს, სოფელეთ გლეხს უწოდებს. მერე რას ნიშნავს „გლეხი“? გაუთლელს უზღდეს, უშნოს და სხ. როცა ქალაქელნი ერთმანეთს შეაგინებენ, ასე ეტყვიან: აი, შე გლეხო. აქაური გლეხი თავის თავს მოქალაქეს უწოდებს, აღარც მას მოწონს სიტყვა „გლეხი“ (Bauer). ჩვენში, მაგ. გურიის გლეხ-კაცს სიტყვა „გლეხი“ ეჯავრება, რომ ჰკითხოთ გლეხი ხარო ის მოგიგებს: დიახ, ბატონო, მსახურიშვილი ვარო. ხოლო აქაურ გლეხს ამავე კითხვით რომ მიმართოთ, მოგიგებს: დიახ, ბატონო. მოქალაქე ვარო. პირველს თავი მოაქვს იმით, რომ მსახურიშვილია, მეორეს კი იმით, რომ მოქალაქეა. აი რამდენ კულტურული განსხვავება ჩვენსა და ამათ შორის!

სასულგან-გაჭეთელი.

(შემდეგ იქნება)




წყალდიდობის კამო.



ოველგან მიღებულია საქველ-მოქმედო მიზნით სალიტერატურო კრებულთა გამოცემა. მაგალითათ, ამას წინათ დიდ შიმშილო-ბის დროს რუსეთში მრავალი ამისთანა კრებუ-ლი გამოიცა. რუსეთის ყველა საუკეთესო მწე-რლებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა ამ საქ-მეში და ჟურნალ-გაზეთების რედაქციები და სხვა და სხვა საზოგადოებანი-კი თითქო ერთმანეთს ევი-ბრებოდნენ, აბა ვინ უფრო კარგ კრებულს შეად-გენსო. არ იქნებოდა ურიგო, ჩვენც გამოგვეცა წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ამნაირი კრებული. ამით ჩვენ ორ კეთილ საქმეს გაე-კეთებდით. პირველი გაჭირვებულთ დაეხმარებოდით მცირეთ მანც და მეორე, ქართველ საზოგადოებაშა ერთ რიგიან წიგნს კიდევ დაეტრიალებდით, რო-

მელსაც ყოველი კითხვის მცოდნე ქართველი უეკ-ველათ შეიძენდა. არც ძნელია ეს საქმე და თითქმის არაერთარ ხარჯს არ მოითხოვს კრებულის შედგენა და გამოცემა, რადგან დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენი მწერალი სიამოვნებით უძღენის თავის კალმის ნაწარმოებს, ხოლო ქართველი მესტამბეები-კი სიამოვნებითვე იკისრებენ კრებულის უსასყიდლოთ და-ბეჭედს. ქალაქის სასყიდელი ფული და სხვა წერილ-მანისთვის საჭირო ხარჯი ხ.ამ სულ მალე შეიკრი-ბება, თუ ერთმა არაეინ გამოიღო, ოღონდ იკისროს ვინმე ეს საქმე. მე მგონია ქართულმა რედაქციებმა უნდა იკისრონ კრებულის შედგენა და გამოცემა და თუ ცალ-ცალკე არა, ერთათ მანც გამოცენ, რითაც შეძლებას მისცემენ ჩვენს მწერლებს, რომელ-თაც ფულით დახმარება არ შეუძლიათ აღმოუჩინონ გაჭირვებულთა, კალმით მანც დაეხმარონ და სინი-დისის მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ ცოტათი მანც...

დუტუ მკრედი.



მოკლე პასუხი გრძელ ლანძღვაზე. *)



ართველთა ამხანაგობის წარმომადგენელმა ალ. ჯაბადარმა ათი ადგილი სტატია (იხილეთ „ივერია“ № 7) უძღენა ჩემ მიერ კვალში დასტამბულ მიმოხილვას. მე უკადრისათ მივიჩნევეთ უპასუხო იმ ლანძღვა-გინებაზე და ქუჩაში აკრე-ფილ ჭარებზე. ან რა უნდა მოვთხოვოთ იმ კაცს, რომელმაც არ იცის ჟურნალ-გაზეთების მოვალეო-ბა და, როდესაც სიმატლის ასადგენათ და საქმის გამოსარკვევათ ეწვევთ, ყვირის მტრობააო—ეს მხო-ლოთ მისი უძლოურებაა.

გადავიფეთ იმაზე, რასაც წერს ალ. ჯაბადარი თვით „მიმოხილვის“ შესახებ. (ამ ნაწილისთვის უძღენია მხოლოთ მეასედი ადგილი). ჩვენ ვწერდით, რომ, რაც ამხანაგობა დაარსდა, მეშვიდე წელიწადი (იხ. ამხანაგობის დასტამბული 1893 წ. ანგარიში, რომელსაც აწერია მეოთხე წელიწადი). ამხანაგობის წარმომადგენელი ალ. ჯაბადარი ამბობს: „შეცდომა არისო, მეექვსე წელიწადი.“

ამხანაგობის უკანასკნელ გამოცემაზე „ღენის დაყენება“ აწერია 36 წიგნი. ამხანაგობის წარმომადგენელი კი ალ. ჯაბადარი ბრძანებს: „60 წიგნზე მეტი გამოვეცითო“, „გარწმუნებთ ასეაო“. არ ვი-ცით დაბეჭდილ ანგარიშს დაეუჯეროთ, თუ ალ. ჯა-ბადარის ლიტონ სიტყვას „გარწმუნებთო“.

„წევრებს არაეინ დაჰპირებია სარგებელს“ ბრძა-ნებს ამხანაგობის წარმომადგენელი ალ. ჯაბადარი. ხუთ-ექვს სტრიქონს შემდეგ კი, აი, რასა წერს: „სამი მეოთხედი ამხანაგობის თანხისა (?)“ სწორეთ სარგებლის შემაცქერალია.“

„არაეის თხზულება არ დაევიმთავრებია გარდა დავითაშვილსო“— განაგრძობს იგივე. არ ვიცი ალ. ყაზიბეგი რაღას დაწერს, მაგრამ ილ. ჭავჭავაძის თხზულებების დაბეჭედის დამთავრება რომ მოეხსენ-იეთ—ვამბობდით იმაზე, რითაც ისიც და ალ. ყაზი-ბეგიც ცნობილნი არიან და არა, რაც ისტორიის კუთვნილებათ შეიქნება.

*) ეს წერილი მისათ გეგონდა, რომ „ივერის“ ფელეტონისტმა, ვიღაც ნიღბ-ჩამოფარებულმა (აი, გე-თილ სინდისიერებაზე!) და დაევიწყებულმა „მწერალმა“ (!) ინსინუაციებითა და მოუწიდეუელი ღანძღვა-გინებით საე-სე სტატია გადმოგვიშურდულა მე და „კვალის“ თანამშრომლებსაც. ავტორის იდუმალი ზრახვა სტატიის ბოლოდანვე ვეფლასათვის ცხადათ გამოტვივის და სწო-რეთ ამ მიზნისათვის შეუსანსლავს თავისი სტატია. სა-წყალო! ეტეობა, ჭკროსტრატეს სელობით ფიქრობს თავის დაევიწყებულ თავი დაევიწყარ ჭყოს. დეკრთმა სელი მოუპაროს!.. ჩვენ რაღა გეუთქმის... გზა მიე-ცეთ და მიეულოცეთ გზს „ივერის“, რომ მას ასეთი ძვირფასი საპალეონტოლოგო ნაშთი აღმოუჩენია!

რედ.

აკ. წერეთლის მეორე ტომი გამოვიდა 1893 წ. დამდეგს, ბ. ალ. ჯაბადარი ბრძანებს 1894 წ. დამდეგსო.

თ. რაფ. ერისთვის პირველი ტომი დაიბეჭდა 1894 წ. დამდეგს ალ. ჯაბადარი კი ბრძანებს 1895 წ. დამდეგსო. მართალია, საზოგადოებამ არ იცის ანგარიში, როდის რა იბეჭდებოდა და წიგნი რა ჯდებოდა, მაგრამ ამის შეტყობას ბევრი თავის ტუნა არ მოუწოდება, საკმარისია დახედოს გამოცემული წიგნის ზედაპირს. არ ვიცი, რითი ხელმძღვანელობს ამხანაგობის წარმომადგენელი ალ. ჯაბადარი, რომ მართალს არ აუწყებს მკითხველს. ბევრი ამ გვარი უსაბუთო საბუთებით ეითომ-და არღვევს ალ. ჯაბადარი ჩემ წერილს, რომლის დედა აზრი არც კი გაუგია. მისი გონება რალაც ნისლით მოცულია და სტრიქონ შუა დაქცებს რალაც ბოროტობას და შუარის ძიებას.

მე ვამბობ: „ამხანაგობის“ გამოცემული წიგნები ერთობ ძვირია, ხალხი ვერ ყიდულობს, ამიტომ საჭიროა ჩვენი მწერლების ნაწარმოების გამოცემა ჯერ ცალცალკე, იაფფასათ, რომ ხალხი შეეჩვიოს კითხვას, როგორც მაგ. რუსეთში გამოცემენ ხოლმე და, თუ ამხანაგობა თითონ არა სტამბევს მაინც, სხვას არ უნდა დაუშალოს იმიტომ მხოლოდ, რომ ორიოდ გროში მიუტია მწერლისათვის. ესა ეთქვი, ვამბობ და კიდევაც ვიტყვი.

ჩვენ სრულებითაც ფიქრათ არ გვეონდა შეგვედარებია რუსეთის მწერლების ნაწარმოების გამოცემა და ჩვენი, თორემ ბევრ საგულისხმო რასმე გეტყვიდით. მაგ. შარშან ლ. ტალსტოის აძლევედნ 20000 მ. მის თხზულებებში და ის არ დათანხმდა. ჩვენი ამხანაგობის წარმომადგენელი ალ. ჯაბადარი ცრემლ მორეული ამბობს: ერთს მიეცეთ 200 მ. და მეორეს 2000 მ. და ამიტომ დიდი ფასი დაედეთ მათ თხზულებასაო.

ეკითხოთ ერთი „ამხანაგობის წარმომადგენელს ალ. ჯაბადარს“: „ღენის დაყენება“ რომ დაბეჭდა, რა მისცა ავტორს და ან რითი ხელმძღვანელობდა ერთხელ აწყობილ და დასტამბულ წიგნს ფასათ რომ დაადო 2 მ. 50 კ. და, თუ შედარება ნებაეს რუსულ წიგნების გამოცემებთან, მოვასხენებ, რომ ლერმანტოვის სრული თხზულება ნახატებათ და ვარაყიანი ყლით ღირს ხოლო 2 მ.

ამ წერილს ვამთავრებთ იმითი, რომ, თუ ბატიანი ალ. ჯაბადარი კვლავაც გამოილაშქრებს იმავე კილოთი და მასალით აღჭურვილი, როგორც წინა წერილში, მე პასუხს არ გავცემ. დეე, საზოგადოებამ თვითონ დააფასოს მისი წერილი და, თუ საბუთიან რასმე გვიბრძანებს, მზათა ვარ პასუხი გავცეთ.

ან. წ - სს.

კვირიდან კვირამდე.



ვირას, იანერის 14-ს, ნინოობა დღეს, სიონის ტაძარში ქართველობამ ბლომათ მოიყარა თავი. გამოცხადებული იყო, წირვა ქართულ ენაზე იქნებო. ყველა მიისწრაჟოდა სიონისკენ, რათა სასოებით მოესმინა სამშობლო ენაზე წირვა თავის წარსულთ გაბრწყინებულ ტაძარში... სასიამოვნო იყო ჩვენი წყნარი და მომხიბლველი გალობის მოსმენა. ურწმუნოსაც კი ჩაუნერგავდა ღრმათ გულში სასოებას... შეენიერი სიტყვა მღვდელმთავრისა სასიხარულოთ დარჩა ყველა ქართველს... წირვაზე გალობდნ ბ. ქორიძის ზე ჩვენი სათავად-აზნა-ურო სკოლის მოსწავლეთა გუნდნი. ჩვენი მოწაფეთა გუნდის გალობა მეტათ მწყობრი ზე ხმა-მწყობილი იყო, გვეგონებოდათ ციურ ხმებს ისმენთ. ბ. ქორიძის გუნდს ეტყობოდა მოუმზადებლობა. არც გასაკვირველია ეს, გუნდის საქმე ჯერ-ჯერ რბით მოწყობილი არ

არის. ბ. ფილემონ ქორიძე ცნობილია, როგორც კარგი გადამღები ნოტებზე, როგორც საეკლესიო, ისე საერო გალობისა, აგრეთვე, როგორც ხელოვანი ლოტბარი. ამ ახლო ხანებში მან გამოსცა თავის დიადი შრომის პირველი ნაწილი „ქართული გალობა“ ამ გვართათ გამოცემული წიგნი სხვაგან ზე სხვა დროს იქნება ხუთ მანეთ ნაკლებ არცკი გაყიდულიყო, აქ კი გამოცემელს ერთ მანეთათ დაუფასებია იმ იმედით, რომ უფრო მეტი გაერცელებულიყო. ჩვენ მიეაქციეთ ყურადღება ამ გამოცემას ზე გესურს შევიძინოთ?! შემოსავალზე კი დამოკიდებულია ხსენებული შრომის გაგრძელება და დამთავრება. ნუ დაევიწყებთ, რომ ეს შეადგენს ჩვეთის დაუფასებელ განძს. ამას გარდა საჭიროა დაეხმაროთ ბ. ქორიძის სამუდამო გუნდის დაარსებაში. როგორც აქაურ მკვიდრს, მას კარგათ ექნება შეგნებული ჩვენი ხალხის სიმღერა გალობის საიდუმლოება და ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამ ჩვენ ეკრეთ წოდებულ პოეტებს უნდა ყოველივე დახმარება აღმოუჩინოთ, არ გაეუქარწყლოთ იმედი,

რომელიც მათ ასულდგმულებს. შევხედოთ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ხალხებს. ყოველგან არსებობს გუნდი მომღერალთა და მგალობელთა. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ სიმღერა-გალობა ერთ უმთავრეს ძალთაგანია ეროვნების აღორძინების საქმეში. ეს ფაქტორი დიდი ხანია აღსარებულია, როგორც ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი ყველგან, სადაც ხალხი ცდილობს თავის ეროვნული იერ-ფერი შეიზოიზონოს. ჩვენც ამ მხრით თითქმის არაფერი გავგიკეთებია. ვერაინ იტყვის, რომ კარგი ხმის მექონენი არა გვყვანდეს. ვის არ მოუხსენია ჩვენს ოჯახებში ისე უცებ, ხელათ შემდგარი გუნდის სიმღერა რეინ არ დამტკბარა ჩვენი სახალხო ჰანგებიო?.. ჩხებთო, მაგალითათ, აი, როგორ არის მოწყობილი ეს საქმე. ჩხებთის უმთავრეს ქალაქში—პრაგაში—არსებობს საზოგადოება, სახელდობრ „ჰლაჰოლ“ (სიტყვა), რომელიც ცენტრალურ დაწესებულებათ ითვლება. ეს საზოგადოება განაგებს სასიმღერო და საჯალობო საქმეს. თითქმის ყოველი ჩხებელი მამულიშვილი ზნეობრივ მოვალეობათ თელის წვერათ ჩაეწეროს ამ საზოგადოებაში. ამ საზოგადოებას დეეზათ ამოურჩეეია შემდეგი სიტყეები: „ჰენიმე კ სერდცუ, სერდცემე კ ელასტი“, ე. ი. სიმღერა—გულს, გული—სამშობლოს. ამ ცენტრალურ საზოგადოებას მრავალი განყოფილება აქეს დაარსებული ჩხებთას შემამჩნეე ქალაქ—დაბეში. ეს წრეები მართვენ კონცერტებს, სტამბვენ სახალხო სიმღერების კრებულებს და სხე. ერთი სიტყეით ცდილობენ შეაყუარონ თავიანთ ხალხს საერო ხმები. ყოველ ჩხებელს კარგათ აქეს შეგნებული ამ დიადი საქმის მნიშვნელობა და ყოველ ღონისძიებას ხმარობს ამ გვართ მოწყობილი საქმე უფრო მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს და გაძლიეროს. ასე ესმის ჩხებლ საზოგადოებას სიმღერის მნიშვნელობა საერო საქმეში. ჩვენ კი აქამდინაც ვერ შევკვივნი. დროა, მგონი, ჩვენმა მეთაურმა განათლებულმა წრემ მიაკციოს სრული თავისი ყურადღება და ჩაუფიქრდეს ამ მრავალ-გვართ მნიშვნელოვან საგანს. ერთი საზოგადო სარბიელი კიდევ მოგვემატება!..

„ივერიაში“ დასტამბულია ოდესიდან მოწერალი ამბავი, რომ იქ უდღესასწაულიათ პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის ოც-და ხუთი წლის სამეცნიერო მოღვაწეობა. ჩვენდა სამწუხაროთ, ამ მშრომელი და პატიოსანი მოღვაწის იუბილემ ფრიად ჩუმათ ჩაიარა. რა თქმა უნდა, ეს მისი ბრალიც არის. ვინც იცნობს პატიეცემულ მეცნიერს, ის მაშინვე მიხედება, რომ მორიდებული ხასიათის მექონე პროფესორს განგებ დაუმაღავს თავისი ოც-და ხუთი

წლის მოღვაწეობის შესრულების დღე. მხოლოთ, სტუდენტებს როგორღაც შეუტყეიათ ეს დღე და ხელათ შედგომიან ამ დღესასწაულის მოწყობას, რომ ამით დაემტკიცებიათ თავისი გულითადი პატიეისცემა და სიყვარული ამ ყოველად ძვირფასი ადამიანისათვის.

პატიეცემულმა პროფესორმა სწავლა მიილოთბილისის სასულიერო სემინარიაში, მერე შევიდა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც, კურსის კარგათ დამთავრებას შემდეგ, შეუღდა საპროფესოროთ მომზადებას. შრომის მოყვარე ახალგაზდა ნიჭიერმა სტუდენტმა ძლია ყოველგვარ დაბრკოლებას და ქიმიის დოქტორობა დაიმტკიცა, დაბრკოლება კი სხვა-და-სხვანაირი იყო. ერთ ამგვარ დაბრკოლებაზე მიგეითთა მეორე ჩვენმა პროფესორმა, მელიქი-შვილმა, სტუდენტების ერთ-ერთ ყრილობაში. პროფესორმა გვიამბო, თუ როგორი ექვის თვლით უყურებდენ პროფესორები ქართველი სტუდენტების მეცადინეობას და საზოგადოთ უნიჭოთ თელიდენ მათ. ასე გასინჯეთ, თვით პატიეცემულს, გამოჩენილ ფიზიოლოგ სეჩენოვს, როცა ბანი პეტრიაშვილი სამეგისტრო დისერტაციას იცაედა, ექვი გამოეცხადებია, რომ ქართველს არ შეუძლია მეცნიერულ სარბიელზე შრომაო და ყოველ ღონეს ხმარობდა, თურმე, ვასილ პეტრიაშვილი ჩაეჭრა „კამოცდაში“. ცდამ უნაყოფოთ ჩაუარა გამოჩენილ ფიზიოლოგს. ახალგაზდა მეცნიერმა ღრსეულათ დაიცვა თავის შრომა და შესაფერი ხარისხიც მოიპოვა. რა დიდი განსხეეებაა მაშინდელსა და აწინდელს დროს შორის!.. ახლა, ვინ იცას, რამდენი ქართველი სტუდენტი დარჩებოდა უნივერსიტეტში სამეცნიერო სარბიელზე სამუშაოთ, რომ განუზომელი სიყვარული სამშობლო საქმისადმი არ იწეედეგ მათ ჩვენსკენ ჩვენი მოღვაწეათ მკირე გუნდის გაძლიერებლათ. ჩვენი მშვიდობიანი იუბილარიც ამავე გრძნობას დაუძრავს თავის ადგილიდან. იგი აპირებს თავის სამშობლოში დაბრუნებას. ახლა, ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოეიყენებთ მის ცოდნას და გამოცდილებას და რამდენათ დაეფასებთ ამ პატიოსან ადამიანს. სიდაც უნდა იყოს საყვარელი პროფესორი, ოძისის მომავალი სამეურნეო სასწავლებლის უფროსი იქნება, თუ იქვე ან სხევან გამართული ფერმ-ეკოლის მმართველი, ან სხეა რომელსამე ასპარეზზე ამოიჩეეეს მოღვაწეობას,—იგი ყველგან შეიტანს თავის ჰეშმარტი ჰუმანური აზრებას შუქს. უკანასკნელ დროს პატიეცემული მეცნიერი თანამშრომლობს „მოამბეში“ და „მეურნეში“. მისი თხზულების „ღეინის დაყენების“ ბადალი რუსულ სამეურნეო ლიტერატურაშიაც არ მოიძებნება.

ჩვენს პროფესორს საზღვარ-გარეთაც აქვს მოხვეჭილი სახელი. მისი მეცნიერული გამოკვლევანი ისტამბუ-ბიან, მაგალითათ, გერმანიის საუკეთესო სამეცნიერო სასპეციალო ჟურნალებში. მესამოცე წლების ბოლო ხანებში ბ. პეტრიაშვილი „დროებაში“ სტამბადა სახალხო ცხოვრებიდან თავის მოთხრობებს. ასე და ამ გვართ არ დაუკარგავს ჩვენს პროფესორს თავის სამშობლოსთან კავშირი. იგი საყვარელია და ძვირფასი ყოველი ქართველი სტუდენტისათვის. საკმარისია აღენიშნათ, რომ მას „ჩვენს ვასოს“ ეძახიან. ვისურვოთ, რომ მას აქ ჩამოსვლისათანავე შესაფერი თანაგრძნობა და გაელენა მოეპოვოს, როგორც ჰქონდა და აქვს ოდესაში.

ჩვენ საჭიროთ ვთვლით, მკითხველს ერთ გარე-მოგებაზე მივუთითო. დიდი ხანია აღსარებულა ყვე-ლასაგან, რომ ჩვენ ვერ ვსარგებლობთ დროით და გა-რემოვებით, უამისოთ კი არაფრის გაკეთება არ შეიძლე-ბა. აი, ახლაც! ეცადა რომელიმე ჩვენგანი, რომ რო-გორმე პეტერბურგში ან მოსკოვში რომელსამე გაელე-ნიან გაზეთს დახლოვებიყო?.. მოგვიწადინა გაგვეცნო რუსეთის საზოგადოებისათვის ჩვენი ვინაობა, ჩვენი წარსული და აწმყო?.. ამ საკითხებზე, ცხადია, „არა“-ს მივიღებთ პასუხათ, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ეს ამ ქამათ საჭირო და აუცილებელიც არ იყოს. თვითონ რუსები გვენწეწებიან გავაცენეთო თქვენი თავი. მკითხველი, უეჭველია, ამოიკითხვედა „ივე-რიაში“ ვასილ ველიჩკოს მიერ გამართული საღამო-ზე პროფ. ლამანსკის და ვლადიმერ სოლოვიოვის წარ-მოთქმულ სიტყვებს, იქ დასწრე ჩვენი სტუდენტები-სადმი მიმართულს. პატივცემული მწერალნი ურჩე-დენ მათ ვსარგებლათ ახალი ვაზეთით, რომელიც იან-ფრიდან დაიწყებს გამოსვლასა და ვაეცნოთ რუსეთის საზოგადოებისათვის ქართველების ცხოვრება. ასე გვეპატივებინ და ჩვენ კი ყურსაც არ ვიბერტყთ! მეტი დაუდევრობა შეიძლება? დროა გამოვანხლოთ თვალი! ნუ თუ აქამდინ ვერ შევიგენით, რომ „ნა-მესტნიკობის“ დროს უმაღლეს მთავრობასაც საქა-რთველოში ჰქონდა ბინა და ყველა კავკასიის შესა-ხებ საქმეებს აქვე სწყევტდენ; ახლა კი, რაც მთა-ვარ-მართებლობა დაარსდა, უმთავრესი ჩვენი ყუ-რადღება სატანტო ქალაქებს უნდა მივაქციოთ, იქითკნ გვექიროს თვალ-ყური. ნუ გვაგიწყდება, რომ ბეჭვდით სიტყვასთან ბრძოლა ისევ ვაზეთსევე უნდა მივანდოთ. Sapienti sat!...

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ექიმთა საზო-გადოებამ გადაწყვიტა ბეჭდოს სამკურნალო ვაზეთი, რომელიც გამოვა თვეში ორჯერ ქართულ, რუსულ

და სამხტურ ენაზე, 1-2 თაბახის სიგრცით. წლიურ ფასათ ვაზეთისა დანიშნულია სამი მანათი. ვინ არ იცის, თუ რამდენათ საჭიროა ხალხში ვაერცვლება სხვა და სხვა ცოდნისა მკურნალობის, ვადმყოფის მოვლისა, ჰიგიენის და ბეითალობის შესახებ?.. მა-შასადამე ყველა აქაური, ცოტათ თუ ბევრათ გა-ნათლებული, მკვიდრი დიდი სიხარულით უნდა მიჰვებებოდა სამეცნიერო საზოგადოების სიმპა-ტიურ განზრახვას, მაგრამ, როგორც ყოველ-თვის მოხდება ხოლმე, ამ შეენიერ წადილს მკურ-ნალებისას წინააღუდგენ ზოგიერთნი, რომელნიც ხან ამტკიცებდენ, რომ საზოგადოება ვერ შე-იგნებს ამ გამოცემის მნიშვნელობას და ჩვენი შრო-მა ამათ ჩაივლისო, ხან საჯაროთ გაიძახოდენ, რომ ქართველებს არც ერთი ქართულის მცოდნე მკურ-ნალი არ მოედებენათო და სხვ. მხოლოთ თავმჯდო-მარის, ბ. პელოესკის, გამკრიახობას და რიხიანო-ბას უნდა დევაბრალოთ, რომ ეს ყოველად სასარგებ-ლო და საიმედო საქმე არ ჩაფუჩეჩდა. სხვათა შო-რის, „არა—მკითხე—მოამბეობა“ გამოიჩინა ერთმა ექიმთაგანმა, სახელდობრ მამინოვმა. ამან მოახსენა კრებას, რომ ქართველი ექიმები ვერ შესძლებენო ამგვარ სამეცნიერო სახალხო ვაზეთის გამოცემას, რადგანაც ენა არ ცანაო. ექიმი ივანე ელიაშვილი, რომელიც იმ დღეს, როცა მამინოვი ლაპარაკობდა, ვერ დასწრებიკო კრებას, დაეკითხა მეორე კრებაში ბ. მამინოვს ქართული ვანყოფილების რედაქტორე-ბის ამორჩევას შემდეგ, თუ როგორ უნდა ვიგუ-ლისხმოთ თქვენი სიტყვებო. ბ. მამინოვი უპასუ-ხა, რომ მე, მხოლოთ, ფაქტი აღენიშნე და მით არავის შეურაცხება არ მიხდოდა. ეს კამათი ვადი-ტანეს „ივერიის“ ფურცლებზედაც. ბ. მამინოვი თა-ვის დასტამბულ წერილში ვვარწმუნებს, რომ მე არა-ფერი შეურაცმყოფელი ქართველ მკურნალთა კორ-პორაციისათვის არა წარმომითქვამს-რაო, და ცდი-ლობს ბ. ელიაშვილისაგან ვულ-წრფელათ წარმო-თქმული სიტყვები პირადობის ფერადით შეჭლებოს. ჩვენ არ ვიცით, ვადლობას ვადაუხდინან ბ. მა-მინოვს ის ექიმები, რომელთ სახელებიც მას ქართულის უცოდინარ ექიმთა სიაში მოჰყავს, თუ საყვედურს შემოუთვლიან. ჩვენ კი ჩვენდა თავათ ვფიქრობთ, რომ ცილის დაწამება—ამა და ამ კაცმა სამშობლო ენა არ იცისო—მგონი შეურაცხ-მყოფელი უნდა იყოს ყველასათვის. მხოლოთ, ვადავარებულს, უთვისტომოს და უვავრტომოს შე-უძლია ეს არ იწყინოს. ჩვენ არა ვვაქვს საბუთი მამინოვისგან დასახელებული ექიმები ამ კათვო-რიაში მოვაქციოთ მით უფრო, რომ ზოგი მათგანი

ქართულის კარგი მცოდნეა, როგორც, მაგალითათ, გრიგოლ მაღალაშვილი და ყარამან ჩიქოვანი. ჩვენ მხოლოდ ეს გვაკვირს, თუ ბ. მამინოვი ასე დახელოვნებულა ქართულში, რომ „ივერიის“ ფურცლებზე ნაწარდობს, რაღა დამართებოდა ჩვენს საზოგადოებას, რომ ერთი მინც ქართულის მცოდნე ექიმი არ გამოეზარდა?!

ნუ ჰგონია ბ. მამინოვს რომ ცილის წამებით — ბ. ელიაშვილი თავის სიტყვების წარმოთქმით ამ-

ხანაგთა შორის დამოკიდებულებას ამწვევებსო — ლელო გაიტანოს. ჩვენ არა გვსურს ექიმ ივანე ელიაშვილის გამოსაჩრლება. ის ამას არც კი საჭიროებს, მით უფრო, რომ იმედია, თვითონ გასცემს ჯეროვან პასუხს, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო არა გვეთქვარა იმიტომ, რომ, დავით გურამიშვილისა არ იყოს, „ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილოს თუ არ არცხვენ“.

გჭ. — ოლ — იქ.

ბიბლიოგრაფია.

ღვინის დაყენება, შედგენილი პროფ. ბუცურიასვილის მიერ.



არსული წელი ჩვენს ცხოვრებაში ბევრ რითიმე იყო შესანიშნავი და იგი ქართველის ხსოვნაში ამოუშლელი იქნება. ერთი იმ გარემოებათაგანი, რომელიც წარსულ წელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს, ისიც არის, რომ გამოვიდა სამეცნიერო წიგნი, რომლის სათაური ზევით ამოწერეთ. მართლაც შესანიშნავი მოვლენაა ეს ჩვენს მწერლობაში. როგორც ვიცით, ქართულ ენაზე ბევრი სამეცნიერო ნათარგმნებია (განსაკუთრებით წარსული საუკუნისა), ხოლო ორიგინალური სამეცნიერო თხზულება, ქართველის ჰკუთხა და გონებით შედგენილი, ჯერ ჩვენ არა გვქონია. დღეის იქით, იმედია, აღარაფერს ექნება საბუთი თქვას, ქართულ ენის სამეცნიერო კვლევა არ ეხერხებაო. ეს თხზულება, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, საფუძვლათ და ნიმუშათ დაედება მომავალ სამეცნიერო გამოკვლევათ.

პატივცემულ ავტორს თვისი თხზულება მეტის

მეტი სისრულთ აქვს შედგენილი, ენა ფრიად ადვილი და გასაგებია. ახალი, ჯერ არ ხმარებული ტერმინებიც, როგორც შეშენის დარბაისელ მეცნიერს, მეტათ მოხერხებული რე ქართულ ენას შეხამებულა. მიზანი თხზულებისა თვით ავტორს ასე აქვს გამოთქმული: „შევისწავლოთ ის საშუალებანი, რომელთა შემწვობითაც შეგვეძლოს წინ წავაყენოთ ჩვენი მეურნეობა და ჩვენი მრეწველობა, აქ არის ჩვენი მალამო“. მრეწველობის ერთი უმთავრესი დარგი ჩვენში კი ხომ მევენახეობაა და ღვინის დამზადება. თვითონ თხზულება კი აგებულია იმ პრინციპზე, რომ გადასაკეთებელი მასალა კარგათ, სარგებლიანათ და ეკონომიურათ მოხმარებულ იქნას. ამ პრინციპზე დამყარებული პატივცემული ავტორი არკვევს ყოველ ნაწილს ყურძნისას, მის სხვა-და-სხვა გვარათ მოხმარებას და ოჯახშიც გამოყენებას.

წიგნი საკმაოდ ვრცელია. შეიცავს 542 გვ. და ღირს 2 მ. 50 კ. არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ ეს ფასი დიდი არ იყოს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარამოებას, რომ ეს თხზულება წერილებათ იბეჭდებოდა ყურნალ „მოამბეში“ და რომ ავტორს არც ერთი კაპიკი არ მიუღია თავის წერილებში.

საკვლე-მოქმედო საქმე



ნო რედაქტორო! მივიღეთ რა მხედველობაში პატივცემული გ. წერეთლის წერილი „კვალის“ № 41-ში დასტამბული მეფე ირაკლის თენის შესახებ, მე თანამგრძობელი ამ სიმპა-

ტიური აზრისა გიგზანით ჩემ მიერ შეგროვებულ 34 მან. და 10 კაპ. და გთხოვთ დასტამბოთ თქვენს პატივცემულ ვაზეთ „კვალში“ შემომწირველთა სია: რჩი მანკთა: იოსებ სოლომონის ძე სულთანისვილი-მა, თათო მანკთა: ალექ. მიხ. სულთანისვილი-მა, მიხ. გიორ. იანვარაშვილი-მა, მიხ. პავ. ივანოვი-მა, ვას. დიმი.

მათიანიშვილი, გიგ. დიმ. მეტრეველი, დავ. ბერივე-
 მა, იას. ისაკ. სულთანიშვილი, სოსო კოლელი-
 შვილი. იაგ. ხუციშვილი, გეო ყუშიტაშვილი,
 ივ. ნიკ. კვეჭერელი, ად. ბერელაშვილი, პავ. ბექ.
 ნიკოლოვი, ზაქ. დავიდიანი, გიორ. ზუკაკიშვილ-
 მა, ათი შაუჭი: წყ. პეტ. არუთინოვი, დარ. მანუ-
 ჩაროვი, ილ. გველესიანი, მიხ. აბესალომოვი,
 დიმ. ზაქ. პაპალიშვილი, გიგ. რამანოვი, ისაკ. აბრ.
 ბიბილაური, ან. ასრათოვი, გრიქ. აკოფიანცა,
 ალექ. პავლივი, სოსიკო გოგინოვი, პატე გიგოვი-
 მა, გიგ. მიხ. მეტელოვი, ივ. ანდ. გულივი, მიხ.
 მურადიანცა, თომა გოგინოვი, მეტერსკომ, ალექ.
 ზარნაძე, გიორ. დარობელიძე, სან. დიმ. ოსანიძე,
 ნიკ. გიუნაშვილი, იაკ. იეჭაბაშოვი, სან. ბურდუ-
 ლაშვილი, არტ. დონივი, სარქ. ლოგინოვი, ად.
 გოგევი, დიმ. დუჩიძე, დარჩ. მჭედლოვი. **ორი**
აბაზი: ზაქ. მალაღაძე, გიორ. გუნდივი, მიხ.
 ტარასოვი, მიხ. მაკედონსკომ, ალექ. მაკედონსკომ,
 გიგ. პატოვი. **ექვსი შაუჭი:** ივ. დავლასოვი
ერთი აბაზი: წყალ. სულთანიშვილი და ივ. მურადოვი-
 მა. სულ 34 მან. 10 კაპ. ეთხოვთ გაზეთ „ივერიას“,
 გადაბეჭდოს ეს სა.

იოსებ სოლომონის ძე სულთანიშვილი.

ოლთისიდან მივიღეთ „ირაკლის“ ფონდის შე-
 სამატებლათ შემოწირულობა დიმიტრი ხოშტარია-
 სავან (დუტუ-მეგრელი) 5 მან. აღრინდელ შემოწი-
 რულებით სულ შედგება 99 მან. და 30 კაპ.

„აკვალის“ რედაქციამ მიიღო ზვიპირ-სიტყვაო-
 ბის ფონდის მისამატებლათ ვლადიმერ ყიფიანისაგან
 სამი მანეთი და დიმიტრი ხოშტარიასაგან (დუტუ
 მეგრელი) 10 მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

განცხადებანი

ქართული თეატრი

კვირას, 21 იანვარს 1896 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასისაგან წარმო-
 დგენილი ოქნება
 ქ-ნ ავლიშვილისა, და ბ-ნნ აბაშიძის, გ. მესხის და ვლ.
 ალექსიევი-მესხიშვილის მონაწილეობით

I

პარტიზის ღარიბ-ღატაკნი

დრამა 5 მოქმედი. თარგმ. ვალ. გუნაძის—მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ბ-ნი ავლიშვილისა,
 ჩეჩქაშვილისა, მეღვიშვილისა, ჩხეიძისა, და სსკ.
 ბ-ნი აბაშიძე, ალექსი-მესხიევი, გ. მესხი, გუნაძე, სვიმონ-
 ნიძე, გედეკანოვი, კანდელაკი, შათიანიშვილი, ადამიძე,
 მჭედლიშვილი და სსკ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეგიძლება სავსის ადგილები ღოჯების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორეთ 8 საათზე

ოთხშაბათს 24 იანვარს დანიშნულია ბენეფისი
 გ. გედევანოვისა.

რეჟისორი ვლ. ალექსიევი-მესხიშვილი

ქალაქის საბჭოს ექიმების ადგილ-სადგომი თფილი-
 სის სხვა-და-სხვა ნაწილში.

- I და II ნაწ. { გ. მ. ანჭრუნი, გოლოვი. პროსპ., ადა-
 მიანცის სახ. № 28.
- III, IV და V ნაწ. { ნ. გ. ყასუშოვი, მიხეილ. ქუჩ. სახლი
 პირასი № 118.
- VI ნაწ. { მ. ა. მიჩაქოვი, (დროებით) ჭიდიდის
 ქუჩა, საკუთ. სახ. № 21.
- VII ნაწ. { გ. ა. გონიევი, ბაღის ქუჩა, საკუთ.
 სახლი № 19.
- VIII და IX ნაწ. { ბ. ტერ-ასტუროვი, ვორონცოვის ქუჩ.,
 ედივაროვის სახ. № 55, სამკურნა-
 ლოს სადგომი.
- X ნაწ. { გ. გულუაშვილი, კახეთის ქუჩა, ტერ-
 ტეროვის სახ. № 26, სამკურნალოს
 სადგომი.
- XI ნაწ. { გ. ა. თაძინიშვილი, ელისაბედის ქუჩ.,
 სახლი № 70.
- XII ნაწ. { გ. ა. გუდაშვილი, მიხეილის და კოჩუბის
 ქუჩის კუთხე, ულანცევის სახ., № 2.
- XIII ნაწ. { გ. ა. რაჭვინაძე, სოლოლაკის ქუ-
 ჩა, სუმბათაშვილის სახლი, № 1.

ქუთაისის თავად-აჯნაურთ საადგილ-მაგულო განისი გაგეოგრა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, აღნიშნულ რიცხვებში ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან სსენებულს ბანკში დაკირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გადასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოიხზობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებათა სარჯებს.

ვაჭრობა დაიწება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნაზე სარჯებისა და, საზოგადოდ, ეგება ამ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუნარჯავს; ბანკის სანკრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ შეიდეგლზე; სოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდათ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებასურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, 20 მარტს 1896 წელსა.

ზაჭრობა 28 თებერვალს 1896 წელსა.

18⁷/₁₂ და 19¹¹/₁₂ წლიანნი სმსხნი.

ქ ქუთაისის.

აღიბეგოვთ: იოსებ, ალექსანდრე და ივანე ხეთი-სოფარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვად. საყ. თავნი ვალი 111 მ. 60 კ. შეს. ვად. 129 მ. 82 კ., სულ 241 მ. 42 კ.

დასახვედიის მიხაილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლები: ერთი ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საყ. თავნი ვალი 482 მ. 59 კ. შეს. ვად. 291 მ. 54 კ. სულ 774 მ. 13 კ.

გობასიის ალექსი სიმონის ძის: ბალახეანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 455 კვადრ. საყ. თავნი ვალი 46 მ. 66 კ. შეს. ვად. 42 მ. 62 კ., სულ 89 მ. 28 კ.

დასამიძეთა: ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საყ. თავნი ვალი 22 მ. 12 კ. შეს. ვად. 291 მ. 54 კ., სულ 313 მ. 66 კ.

ზოგოვამის ვასილ ოქროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საყ. თავნი ვალი 55 მ. 65 კ. შეს. ვად. 38 მ. 40 კ., სულ 94 მ. 5 კ.